UNIGEO

საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი
INTERNATIONAL UNIVERSITY OF GEORGIA

# შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა




1. მისია
2. სად ვართ ახლა
3. ჩვენი პრიორიტეტები
4. ჩვენი სტრატეგიული მიზნები
5. სად ვიქნებით 7 წლის შემდეგ

“

საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის ევროპეიზაციამ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების საჭიროება. ბოლონიის პროცესისა და ასოცირების ხელშეკრულების შედეგად, მიმდინარეობს საერთაშორისო სტანდარტების ინკორპორირება ადგილობრივ საუნივერსიტეტო ბაზარზე. ეს რთული, მაგრამ გარდაუვალი პროცესია. საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტმა მიიღო აღნიშნული გამოწვევა. შესაბამისად, გადაიხედა უნივერსიტეტის მიზნები და დაიგეგმა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით, განისაზღვრა შესაბამისი მეთოდოლოგია. უზრუნველყოფილ იქნა აღნიშნულ პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ჩართვა.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით, ობიექტურად შეფასდა უნივერსიტეტის არსებული მდგომარეობა, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოწვევები, შესაძლებლობები და უნივერსიტეტის რესურსები. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის გაცხადებული მისიიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, განისაზღვრა უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა და უნივერსიტეტის ადგილი შვიდი წლის შემდეგ არსებულ საგანმანათლებლო სივრცეში.

”

# მისია



საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის უნიკალური მისიაა ცოდნის გადაცემა და მისი გამოყენების შესაძლებლობების შექმნა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე დემოკრატიული საზოგადოების განვითარების მიზნით.

# უნივერსიტეტის პრიორიტეტები

ხარისხზე ორიენტაცია

ინტერ-ნაციონალიზაცია

სტუდენტის განვითარებაზე ორიენტაცია

აკადემიური თავისუფლება

ინოვაციურობა

ეთიკური ნორმების დაცვა

# სად ვართ ახლა



# 20 წელზე მეტი საუნივერსიტეტო ბაზარზე

20+

# მზარდი საგანმანათლებლო პროგრამები

## საბაკალავრო პროგრამები

ტურიზმი

სამართალი

ინგლისური ფილოლოგია

ბიზნესის ადმინისტრირება

## სამაგისტრო პროგრამა

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი

## ერთსაფეხურიანი პროგრამები

ქართულენოვანი სტომატოლოგიის პროგრამა

ინგლისურენოვანი სტომატოლოგიის პროგრამა

## რეზიდენტურა

თერაპიული და ქირურგიული სტომატოლოგია

3000 კვ.მ-მდე
საკუთარი შენობა ქალაქის
ცენტრალურ უბანში

სხვადასხვა საკუთარი
პროფილის კლინიკები





## კვალიფიკაციით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი

# 73%

## მრავალფეროვანი სტუდენტური აქტივობები

# სტუდენტური გრანტები

- რექტორის სტიპენდია 2016
- Step Forward 2017-2018
- მოწყვლად სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა 2018




# სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო აქტივობები

# სტრატეგიული მიზნები

- ხარისხის განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა
- საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერება სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესში
- სტუდტთა მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება
- უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარება
- კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გაძლიერება
- სასწავლო პროცესის სრულყოფა
- ინფრასტრუქტურული განვითარება
- არსებული პროგრამების მუდმივი განახლება ადგილობრივი და საერთაშორისო მოთხოვნების შეაბამისად
- სახელმწიფო სტრატეგიისა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო, მათ შორის პროფესიული პროგრამების შექმნა
- ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სტუდენტთა კონტიგენტის ყოლა

# სად ვიქნებით

# 7 წლის შემდეგ

საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოს მიერ დასახული მიზნებიდან გამომდინარე, არსებობს ობიექტური მოლოდინი, რომ შვიდი წლის შემდეგ, უნივერსიტეტი წარმატებულად გააგრძელებს გაუმჯობესებულ საგანმანათლებლო სივრცეში თავისი მისიის შესრულებას - ცოდნის გადაცემისა და მისი გამოყენების შესაძლებლობების შექმნას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე დემოკრატიული საზოგადოების განვითარების მიზნით.

